ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4441423

ნომერი: AR1665805

თარიღი : 05.03.2019

გაცემის თარიღი : 01.04.2019

გაცნობის თარიღი : 02.04.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბანობ სამერ სამი შაფიკ პ/ნ 01191023206
- დიდი დიღომი , მიიან მეფის 11

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05 მარტს NAR1665805 განცხადებით მომართა აბანობ სამერ სამი შაფიკმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N37-ის მიმდებარედ, (ნაკვეთი N5/34) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.08.005.147), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 11 თებერვლის №4370448 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 11 თებერვლიდან 2020 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 11 მარტის №4407361 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში და ბრძანებით შეთანხმებული "1-1" ჭრილი ჩანაცვლდა 2019 წლის 14 თებერვლის №AR1661792 განცხადებაზე წარმოდგენილი "1-1" ჭრილით.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 5431.49 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 5430.53 კვ.მ, კომერციული ფართობი: 371.68 კვ.მ-ის ნაცვლად 371.67 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 1504.89 კვ.მ-ის ნაცვლად - 1560.56 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1050.71 კვ.მ-ის ნაცვლად - 1101.0 კვ.მ. ხოლო საერთო ფართობი 9673.02 კვ.მ-ის ნაცვლად - 9778.01 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება. განმცხადებლის მიერ ასვეე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. მოცემულ შემთხვევაში, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 5430.53 კვ.მ, კომერციული ფართობი: 371.67 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 1560.56 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 1101.0 კვ.მ. საერთო ფართობი: 9778.01 კვ.მ.მ.
2. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 24 იანვრის №4349042 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge